პროფესორ ნოდარ ჟღენტის ხსოვნა
(1934 – 11.2013)

გარდაიცვალა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საზომი ტექნიკის, ექსპერტიზისა და ხარისხის მენეჯმენტის“ კათედრის უხუცესი პედაგოგი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ღირსეული პიროვნება, პროფესორი ნოდარ ილიას ძე ჟღენტი, რომელიც თავისი ჰუმანური თვისებებით ნამდვილად ჭეშმარიტი ქრისტიანი კაცის განსახიერება იყო, გურული იუმორით და მეგობრული ერთგულებით.

ნოდარ ჟღენტი დაიბადა 1934 წლის 30 ივნისს ქ. ბათუმში. 1953 წელს წარჩინებით დაამთავრა ბათუმის საშუალო სკოლა. იმავე წელს იგი ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკის ფაკულტეტზე, რომელიც 1959 წელს დაამთავრა, სპეციალობით ინჟინერ-ელექტრიკოსი. სამუშაო მოღვაწეობა დაიწყო ანალიზური ხელსაწყოთმშენებლობის საკავშირო საკონსტრუქტორო ბიუროში ინჟინრად, სადაც, მუყაითი და თავდადებული შრომის თვისებების მქონე ახალგაზრდა სპეციალისტი მალე უფროსი ინჟინრის თანამდებობაზე გადაიყვანეს.

სამეცნიერო სამუშაოებისადმი წარმატებული მიდრეკილების მქონე ახალგაზრდა ინჟინერი 1964 წელს ჩაირიცხა პეტერბურგის (ლენინგრადის) საკავშირო მეტროლოგიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტის ასპირანტურაში. მის მიერ შემუშავებულ იქნა არა ერთი საინჟინრო ხერხი ნახევარგამტარიანი კვების წყაროების გამომავალი ძაბვის სტაბილურობის ამაღლების მიზნით. წარმატებით ასრულებს სადისერტაციო ნაშრომს და 1971 წელს იცავს საკანდიდატო დისერტაციას.

1971 წლიდან ბატონი ნოდარ ჟღენტი, უკვე ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, მუშაობას იწყებს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საინფორმაციო-საზომი ტექნიკის ასისტენტად, შემდეგ უფროს მასწავლებლად და დოცენტად.

ნოდარ ჟღენტი ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას, 1976-80 წლების განმავლობაში იყო ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტის პროფესიული კავშირების ბიუროს თავმჯდომარე.

1980-81 წლებში საკავშირო განათლების სამინისტროს ბრძანებით ნ. ჟღენტი ჩაირიცხა პეტერბურგის უნივერსიტეტში ინგლისური ენის შესწავლის კურსებზე. მას ამზადებდნენ საზღვარგარეთ სამუშაოდ გასამგზავრებლად.

1983-86 წლებში ბატონი ნ. ჟღენტი მუშაობს იემენის არაბული რესპუბლიკის დედაქალაქის, ადენის უნივერსიტეტში. კითხულობს სახადასხვა ლექციების კურსს 6 დისციპლინაში. მთელი ამ ხნის განმავლობაში იგი არის კონტრაქტ “უნივერსიტეტის” პროფბიუროს თავმჯდომარე.

1987-2013 წლებში, სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე, ბატონი ნოდარ ჟღენტი არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოცენტი, ასოცირებული პროფესორ, შემდეგ სრული პროფესორი. კითხულობს ლექციებს ქართულ, რუსულ და ინგლისურ ჯგუფებში. მის მიერ გამოქვეყნებულია მრავალი სამეცნიერო ნაშრომი და სახელმძღვანელო.

დაუვიწყარი იქნება სახელოვანი მეცნიერის, დიდებული ადამიანის, ღირსეული მამულიშვილის, ბატონი ნოდარ ჟღენტის ხსოვნა მისი ოჯახის, მეგობრებისა და კოლეგებისათვის.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი,
ჟურნალის რედკოლეგია